

ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრიანების კომუნიკაციის შესახებ საქართველოს მთავრობის სტრატეგია 2017-2020 წლებისთვის

შესავალი

ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრიანება წარმოადგენს ქვეყნის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმთავრეს პრიორიტეტს, რასაც მტკიცედ უჭერს მხარს ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა. საქართველოს მოქალაქეების ურყევი ნებაა, ქვეყანამ დაიმკვიდროს სრულფასოვანი ადგილი საერთო ცივილიზაციისა და ღირებულებების მქონე ევროპულ და ევროატლანტიკურ სივრცეში, მოქალაქეებმა იცხოვრონ გარე საფრთხეებისგან დაცულ, განვითარებულ, კანონის უზენაესობასა და ადამიანის უფლებების დაცვის პრინციპებზე დაფუძნებულ სახელმწიფოში.

„საქართველოს საგარეო პოლიტიკის“ შესახებ საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 29 დეკემბრის რეზოლუციის თანახმად, საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანება ქვეყნის უალტერნატივო პრიორიტეტია. საგარეო პოლიტიკური ამოცანების განხორციელებისას განსაკუთრებული ძალისხმევა მიმართული იქნება ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის აქტიური სტრატეგიული კომუნიკაციის წარმართვისკენ, რაც უზრუნველყოფს საზოგადოებაში ქვეყნის დასავლური კურსის მიმართ მაღალი და გაცნობიერებული მხარდაჭერის შენარჩუნებას.

საქართველოს საგარეო პოლიტიკური ამოცანების ეფექტიანი განხორციელების მიზნით, ასევე საქართველოს პარლამენტის რეზოლუციის შესაბამისად, შემუშავდა ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრიანების კომუნიკაციის შესახებ საქართველოს მთავრობის სტრატეგია. წინამდებარე დოკუმენტში გაწერილია ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების პროცესისადმი ქვეყნის მოქალაქეების მაღალი მხარდაჭერის უზრუნველყოფის ხელშეწყობისთვის აუცილებელი გზები და საშუალებები, ასევე, მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელი შესაბამისი სახელმწიფო უწყებების როლი და ფუნქციები. ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრიანების საკითხებზე სტრატეგიული კომუნიკაცია ხორციელდება წინამდებარე სტრატეგიისა და მის მიხედვით შემუშავებული სამოქმედო გეგმის საფუძველზე.

თავი 1. სტრატეგიული გარემო

2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოში განხორციელებული ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესიის დროს აქტიურად იქნა გამოყენებული ჰიბრიდული ომის სხვადასხვა ელემენტი, მათ შორის პროპაგანდისტული საინფორმაციო კამპანია და კიბერშეტევები. 2014 წელს რუსეთის ფედერაციამ უკრაინის წინააღმდეგ აგრესიისას კიდევ უფრო გააძლიერა პროპაგანდა და დეზინფორმაცია.

რუსეთი განაგრძობს საქართველოს ოკუპირებული რეგიონების ანექსიისკენ მიმართულ ქმედებებს და აქტიურად ეწევა საქართველოს ევროკავშირისა და ნატოში გაწევრიანების ხელისშემშლელ პროპაგანდას. ამის გარდა, რუსეთის ფედერაციის მიერ გრძელდება საინფორმაციო ომი საქართველოსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა სახელმწიფოებში, ასევე ევროკავშირისა და ნატოს წევრ ქვეყნებში, რითიც საფრთხე ექმნება ევროპულ და ევროატლანტიკურ ერთიანობას. რუსეთის ფედერაციის პროპაგანდისტული და დეზინფორმაციული კამპანია მიზნად ისახავს აღნიშნულ ქვეყნებში საზოგადოების ერთიანობის შესუსტებას, დასავლური ღირებულებების დისკრედიტაციას და ევროკავშირისა და ნატოსადმი მხარდაჭერის შემცირებას.

რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებულმა აგრესიულმა ქმედებამ დასავლეთის ქვეყნები საპასუხო ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობის წინაშე დააყენა. დღის წესრიგში დადგა აქტიური სტრატეგიული კომუნიკაციის განხორციელება, რისთვისაც მოხდა როგორც საკანონმდებლო ბაზის დახვეწა შესაბამისი კანონებისა და რეზოლუციების მიღებით, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების სტრატეგიული კომუნიკაციის შესაძლებლობის განვითარება.

2014 წელს რიგაში დაარსდა ნატოს სტრატეგიული კომუნიკაციების სრულყოფის ცენტრი. 2015 წელს ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე ალიანსმა ჰიბრიდულ ომზე ახალი სტრატეგია დაამტკიცა. 2015 წელს ევროპის საგარეო ქმედებათა სამსახურში შეიქმნა აღმოსავლეთის სტრატეგიული კომუნიკაციების სპეციალური ჯგუფი და დამტკიცდა ევროკავშირის სტრატეგიული კომუნიკაციის სამოქმედო გეგმა. 2016 წლის ნოემბერში ევროპული პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა რეზოლუცია პროპაგანდის საწინააღმდეგო სტრატეგიული კომუნიკაციის შესახებ, რომელშიც ხაზგასმულია რუსული პროპაგანდის ძლიერი გავლენა ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოს ქვეყნებზე.

საქართველოს მთავრობამ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებზე სტრატეგიული კომუნიკაცია ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად გამოაცხადა. 2014 წელს დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2014-2017 წლების სტრატეგია ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ. 2015 წლიდან, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში შეიქმნა სტრატეგიული კომუნიკაციის სტრუქტურული ერთეულები და გაძლიერდა „ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრი“-ს შესაძლებლობები.

თავი 2. მიზნები, ამოცანები და მიდგომები

სტრატეგიის მიზნებია:

ევროკავშირისა და ნატოში გაწევრიანებისადმი საქართველოს მოსახლეობის მაღალი და გაცნობიერებული მხარდაჭერის ხელშეწყობა. ასევე, საქართველოს გაწევრიანების მიმართ ევროკავშირისა და ნატოს წევრი ქვეყნების მხარდაჭერის გაზრდა.

სტრატეგიის ამოცანებია:

1. საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების უპირატესობის, სარგებლისა და შესაძლებლობის წარმოჩენა ქვეყნის მოსახლეობისთვის მარტივად გასაგები, ობიექტური ინფორმაციის რეგულარული მიწოდებით და მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით;
2. საერთო დასავლური ღირებულებების შესახებ საქართველოს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება;
3. სახელმწიფოს მიერ მოსახლეობისთვის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში გატარებული, მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმების შესახებ ობიექტური და ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება;
4. საზოგადოებაში ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებული მოლოდინის მართვა;
5. მოსახლეობაზე ანტიდასავლური პროპაგანდის ზეგავლენის პრევენცია და შემცირება;
6. ევროკავშირისა და ნატოს წევრ ქვეყნებში საქართველოს, როგორც ევროპული, დემოკრატიული ქვეყნის წარმოჩენა, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ევროპული და ევროატლანტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში;
7. ევროკავშირისა და ნატოს ინსტიტუტებსა და წევრ ქვეყნებში საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში მიღწეული პროგრესის შესახებ ცნობიერების ამაღლება.

სტრატეგიის მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე გამოიყენება შემდეგი მიდგომები:

1. სტრატეგიის აქტივობების შემუშავება-დაგეგმვა, განხორციელება, მონიტორინგი და კორექტირება ხდება ერთიანი სამთავრობო მიდგომის საფუძველზე;
2. სტრატეგიის მიზნების მიღწევა და ამოცანების შესრულება ხორციელდება ევროკავშირისა და ნატოს წევრ ქვეყნებში საქართველოს გაწევრიანებასთან დაკავშირებულ საკითხებზე კვლევების შედეგების, ძირითადი არასწორი აღქმების და საზოგადოებაში არსებული ინფორმაციის ნაკლებობის ანალიზის საფუძველზე;
3. სამიზნე ჯგუფებისა და ქვეყნების იდენტიფიცირება და პრიორიტეტიზაცია ხდება საზოგადოებრივი აზრის კვლევების, ექსტრეზიანი და წლიური ანგარიშების ანალიზის საფუძველზე;
4. ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების საკითხებზე სტრატეგიული კომუნიკაციის პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფა;
5. სტრატეგიის ეფექტიანი განხორციელების უზრუნველსაყოფად, საჭიროებისამებრ ხდება ლობისტური ჯგუფების, კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მომსახურების გამოყენება;

6. სტრატეგიის მიზნებისა და ამოცანების განხორციელების ეფექტიანობა ფასდება ექსპერტიზის და წლიური ანგარიშებისა და საზოგადოებრივი აზრის კვლევების ანალიზის საფუძველზე;
7. სახელმწიფო უწყებებში სტრატეგიის განხორციელებაზე პასუხისმგებელი თანამშრომლების შესაძლებლობების გაძლიერების უზრუნველყოფა ხდება რეგულარულად.

თავი 3. ძირითადი გზავნილები

ევროკავშირისა და ნატოში საქართველოს გაწევრიანებასთან დაკავშირებულ საკითხებზე შესაბამისი გზავნილების შემუშავება როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე ხორციელდება: საზოგადოებრივი აზრის კვლევების შედეგების, სამიზნე ჯგუფების ანალიზის, ძირითადი არასწორი აღქმისა და საზოგადოებაში არსებული ინფორმაციის ნაკლებობის, ასევე, სამოქმედო გეგმის ანგარიშის ანალიზის საფუძველზე.

სტრატეგიული კომუნიკაცია ხორციელდება შემდეგი ძირითადი გზავნილების საფუძველზე:

ეროვნულ დონეზე:

- ევროკავშირისა და ნატოში გაწევრიანების პროცესში მიმდინარე, განხორციელებული და დაგეგმილი კომპლექსური და ფართომასშტაბიანი რეფორმები აძლიერებს საქართველოს სახელმწიფოებრიობასა და თავდაცვისუნარიანობას;
- საქართველოს ევროკავშირში და ნატოში გაწევრიანების პროცესი ხელს უწყობს ქვეყნის სწრაფი განვითარებისთვის საჭირო უსაფრთხო და კონკურენტული გარემოს შექმნას;
- საქართველოს ევროკავშირში და ნატოში გაწევრიანების პროცესი უზრუნველყოფს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებების, საერთო ღირებულებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაცვას, მოქალაქეთა თავისუფალ გადაადგილებას;
- საქართველოს ევროკავშირში და ნატოში გაწევრიანების პროცესი ხელს უწყობს უცხოური ინვესტიციების ზრდას, უმუშევრობის შემცირებასა და საქართველოს თითოეული მოქალაქის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას.

საერთაშორისო დონეზე:

- საქართველოს, როგორც ევროპული კულტურისა და ღირებულებების მატარებელ ერთ-ერთ უძველეს ქრისტიანულ და ახალგაზრდა დემოკრატიის ქვეყანას, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ევროპული და ევროატლანტიკური უსაფრთხოების განმტკიცებაში;
- საქართველო წარმოადგენს დემოკრატიული განვითარების წარმატებულ მაგალითს ევროკავშირისა და ნატოს აღმოსავლეთ სამეზობლოში;

- ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანება ხელს შეუწყობს საქართველოში დემოკრატიის სწრაფ კონსოლიდაციას და რეგიონში დემოკრატიული პროცესების განვითარებისკენ სწრაფვას;
- საქართველო სანდო პარტნიორია, წარმოადგენს მნიშვნელოვან სატრანზიტო დერეფანს, რომელიც, მათ შორის, ხელს უწყობს ევროპის ენერგოუსაფრთხოებას.

თავი 4. განხორციელების მექანიზმები

ინსტიტუციური ჩარჩო

ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე სტრატეგიული კომუნიკაციის ზოგად კოორდინაციას ახორციელებს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია.

ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრიანების საკითხზე სტრატეგიული კომუნიკაციის პოლიტიკის მკოორდინირებელი უმაღლესი სამთავრობო ორგანოებია საქართველოს ნატოში ინტეგრაციის კოორდინაციის სახელმწიფო კომისია და საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის სამთავრობო კომისია.

2017-2020 წლების ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრიანების კომუნიკაციის შესახებ საქართველოს მთავრობის სტრატეგიის განხორციელებას საერთო კოორდინაციას უწევს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი.

სტრატეგიის სამოქმედო გეგმის ფარგლებში საერთაშორისო დონეზე გათვალისწინებულ აქტივობებს კოორდინაციას უწევს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

სტრატეგიის სამოქმედო გეგმის ფარგლებში თავდაცვის საკითხებზე გათვალისწინებულ აქტივობებს კოორდინაციას უწევს თავდაცვის სამინისტრო.

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი პასუხისმგებელია სტრატეგიის ყოველწლიური სამოქმედო გეგმებისა და მისი შესრულების ექსტენსიური და წლიური ანგარიშების შემუშავებაზე. სახელმწიფო მინისტრის აპარატი სამოქმედო გეგმის პროექტთან, ექსტენსიური და წლიური ანგარიშებთან დაკავშირებით კონსულტაციებს მართავს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან არსებულ სამოქალაქო საზოგადოების ექსპერტთა ჯგუფთან, რომელიც შედგება ევროკავშირსა და ნატოს საკითხებზე შესაბამისი კომპეტენციის მქონე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისგან. სახელმწიფო მინისტრის აპარატი დოკუმენტს დასამტკიცებლად წარუდგენს ნატოში ინტეგრაციის კოორდინაციის სახელმწიფო კომისიასა და ევროკავშირში ინტეგრაციის სამთავრობო კომისიას.

პარლამენტი მონიტორინგს უწევს სტრატეგიის განხორციელებას ექსტენსიური და წლიური ანგარიშების საფუძველზე.

სტრატეგიის სამოქმედო გეგმის აქტივობების ეფექტიანი შემუშავება-დაგეგმვის, მონიტორინგისა და კორექტირებისთვის სახელმწიფო მინისტრის აპარატი პასუხისმგებელია წელიწადში ორჯერ ეროვნულ დონეზე საზოგადოებრივი აზრის კვლევების ჩატარებაზე. კვლევების შედეგების საფუძველზე სახელმწიფო მინისტრის აპარატი შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს და

წარუდგენს სტრატეგიული კომუნიკაციის უწყებათაშორის სამუშაო ჯგუფს. სამუშაო ჯგუფი შედგება მთავრობის ადმინისტრაციის სტრატეგიული კომუნიკაციის სამსახურის, სამთავრობო უწყებების შესაბამისი სამსახურების, ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატის, სსიპ „ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრი“-ს და პარლამენტის წარმომადგენლებისგან.

სახელმწიფო მინისტრის აპარატი განსაზღვრავს სტრატეგიის განხორციელების ყოველწლიური სამოქმედო გეგმის სტრუქტურას, რომელიც უზრუნველყოფს სტრატეგიის მიზნებისა და პრიორიტეტების ეფექტიან დაგეგმვასა და განხორციელებას.

სტრატეგიის წლიური სამოქმედო გეგმა, ასევე ექვსთვიანი და წლიური ანგარიშები საჯაროა, გარდა იმ ღონისძიებებისა, რომლებიც სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის მიზნით მიჩნეულია სახელმწიფო საიდუმლოებად.

კომუნიკაციის არხები და ფორმები

სტრატეგიის სამოქმედო გეგმის ეფექტიანი განხორციელების კომუნიკაციის არხები და ფორმებია: ტელევიზია, რადიო, ინტერნეტი, ბეჭდური მედია, სოციალური ქსელები, საზოგადოებრივი ღონისძიებები, სემინარები და კონფერენციები, საწვრთნელი მოდულები, საინფორმაციო შეხვედრები, ოფიციალური შეხვედრები, პირადი კონტაქტები და სხვა.

თავი 5. ძირითადი სამიზნე აუდიტორიები

სტრატეგია მიმართულია შიდა და საერთაშორისო აუდიტორიის დაფარვაზე. შიდა აუდიტორიაში იგულისხმება საქართველოს მოსახლეობა, ხოლო საერთაშორისო აუდიტორია მოიცავს ევროკავშირის/ნატოს წევრი ქვეყნების მოსახლეობას.

სტრატეგიის სამოქმედო გეგმის სამიზნე ჯგუფების იდენტიფიცირება და პრიორიტეტულობის განსაზღვრა ხდება ევროკავშირისა და ნატოში საქართველოს გაწევრიანებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ყოველწლიური საზოგადოებრივი აზრის კვლევების შედეგების, ძირითადი არასწორი აღქმისა და საზოგადოებაში არსებული ინფორმაციის ნაკლებობის, სამოქმედო გეგმის ექვსთვიანი და წლიური ანგარიშების ანალიზის საფუძველზე.

თავი 6. პარტნიორები

სტრატეგიის განხორციელების პროცესში, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე პარტნიორებად მოიაზრებიან:

ეროვნული დონე - პარლამენტი, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები, კერძო სექტორის წარმომადგენლები, სამოქალაქო საზოგადოება, შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები, საქართველოში ნატოს სამეკავშირეო ოფისი, ნატოსა და ევროკავშირის წევრი და კანდიდატი/ასპირანტი ქვეყნების დიპლომატიური მისიები, საერთაშორისო ორგანიზაციები, მედია და სხვა.

საერთაშორისო დონე - ნატოსა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მთავრობები და პარლამენტები, ნატოსა და ევროკავშირის ინსტიტუტები, საერთაშორისო ორგანიზაციები და ფონდები, ქართული დიასპორული და სტუდენტური ორგანიზაციები საზღვარგარეთ, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, საგანმანათლებლო დაწესებულებები და სხვა.

თავი 7. დაფინანსება

სტრატეგიის განსახორციელებლად საჭირო ფინანსური რესურსების მოცულობა განისაზღვრება ყოველწლიური სამოქმედო გეგმის საფუძველზე და დაიფარება შემდეგი წყაროებიდან: სახელმწიფო ბიუჯეტი, ადგილობრივი და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა წყაროები.

სტრატეგიის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებების წლიურ ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმის ფარგლებში ჩასატარებელი აქტივობების სათანადო დაფინანსება.

დასკვნა

სტრატეგია წარმოადგენს ოთხ წელზე გათვლილ საჯარო დოკუმენტს, რომელიც ემსახურება ევროკავშირისა და ნატოში გაწევრიანებისადმი საქართველოს მოსახლეობის მაღალი და გაცნობიერებული მხარდაჭერის ხელშეწყობას. ასევე, საქართველოს გაწევრიანების მიმართ ნატოსა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების მხარდაჭერის გაზრდას. სტრატეგია განსაზღვრავს ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების საკითხებზე სამთავრობო სტრატეგიული კომუნიკაციის პოლიტიკას როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

სტრატეგიაში განსაზღვრულია მიზნები, ამოცანები, მიდგომები, ასევე, ძირითადი გზავნილები ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, განხორციელების მექანიზმები, პარტნიორები და დაფინანსების წყაროები.